



ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუხათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის მარტის 10	№ 6 გ ა ნ კ თ დ ი ლ ე ნ ა პ ი ბ ე ლ ი	ა/კსფსრ სახალხო კომისარ- თა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.
------------------------	---	--

შ ი ნ ა ა რ ს ი :

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- მუხ. 38. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დაარსებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.
- 39. საქცილო საზოგადოებათა თაობაზე არსებული ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.
- 40. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 82 და 82¹⁻⁶ მუხლების შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 82⁷⁻²³ მუხლების დამატების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

- 41. „ამიერკავკასიის საიალალო კომიტეტის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების შეცვლის შესახებ.
- 42. ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის გაშლისათვის წარმოებული სასოფლო საბჭოების მუშაობის შემომწმებელი მასსური ლაშქრობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- 43. ა/კსფსრ-ში ცენტრალური კომუნალური ბანკის წარმომადგენლობის შესახებ.
- 44. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის საირრიგაციო სისტემის ექსპლოატაციის გადაცემის შესახებ.
- 45. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამგებლობიდან ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს გამგებლობაში სასტანდარტიზაციო კომიტეტის გადაცემის შესახებ.
- 46. 1932 წლისთვის ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.
- 47. ამიერკავკასიის მეზამბეობის შენაერთსა და ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრს (სახელ-შეკრულობო სექტორის ხაზით) შორის 1932 წლის საბამზე სამუშაოების განაწილების შესახებ.
- 48. ა/კსფსრ-ში დამმზადებელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ.
- 49. ა/კსფსრ-ში 1932 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და ღვართქაფებთან ბრძოლისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის შესახებ.

**დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

38. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დაარსებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დაარსებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საერთო დებულებისა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-რი, მუხ. 597) დაემატოს სიტყვები: „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი“ და ეს მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 3. ა/კსფსრ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებად ითვლებიან შრომისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ფინანსთა, მიწათმოქმედებისა, მომარაგებისა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატები და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო“;

ბ) „ა/კსფსრ-ში ხანძარის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის დაყენების წესის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლ მუხლში (კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-რი, მუხ. 124) სიტყვები „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს“ შეიცვალოს სიტყვებად „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს“; ხოლო მე-3 მუხლში სიტყვები „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს“ შეიცვალოს სიტყვებად „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს“.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

39. სააქციო საზოგადოებათა თაობაზე არსებული ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სა-
ხალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სააქციო საზოგადოებათა დებულების შეცვლის შესახებ“ გამოცემული
სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომი-
სართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან.
კრ. 1931 წ. 58 №-ი, მუხ. 373):

1. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომი-
ტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 16-ის დად-
გენილება „სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ“
(ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 37) ყველა შემდგომი ცვლილებით.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების
მთავრობათ—შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. თებერვლის 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

40. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 82 და 82¹⁻⁶ მუხლების შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 82⁷⁻²³ მუხლების დამატების შესახებ.

„სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანისა, მიღებისა და გაგზავნის დროს შე-
საფარდებელი კომპენსაციებისა და გარანტიების შესახებ“ სსრკ-ის ცენტრა-
ლური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ
1931 წ. ნოემბრის 23-ის თარიღის დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით

(სსრკ კან. კრ. 1931 წ. 68 №-ი, მუხ. 453)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შრომის კანონთა კოდექსის 82, 82¹, 82², 82³, 82⁴, 82⁵ და 82⁶ მუხლები შეიცვალოს და ამავე კოდექს დაემატოს 82⁷, 82⁸, 82⁹, 82¹⁰, 82¹¹, 82¹², 82¹³, 82¹⁴, 82¹⁵, 82¹⁶, 82¹⁷, 82¹⁸, 82¹⁹, 82²⁰, 82²¹, 82²², 82²³ მუხლები და ყველა ეს მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„82. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მომუშავე გადაიყვანება სხვა სამუშაოზე და მიიღება სამუშაოზე, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში და ტექნიკუმებში კურსდამთავრებულნი განაწილებულ იქნებიან სამუშაოზე, უკეთეს ეს დაკავშირებულია მომუშავეის სხვა ადგილას წასვლასთან, მას მიეცემა კომპენსაცია ქვემოთდევნო მუხლებში აღნიშნულ საფუძვლებზე.

შენიშვნა. ქვემოთდევნო მუხლებით დადგენილი კომპენსაციისა და გარანტიის სათანადო ნაწილი არ გავრცელდება ისეთ მომუშავეებზე, რომელთათვისაც სპეციალური კანონებით დადგენილია განსაკუთრებული წესები კომპენსაციისა და გარანტიის შესახებ, აგრეთვე მოსწავლეებზე, პრანქტიკანტებზე და საფაბრიკო-საქარხნო მოსწავლეობის სკოლებში კურსდამთავრებულებზე, რომელთათვისაც სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ამყარებენ განსაკუთრებულ წესებს“.

„82¹. იმ მომუშავეს, რომელიც სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით სხვა ადგილას უნდა წავიდეს, ყველა შემთხვევაში, გარდა საკუთარი მისი თხოვნით გადაყვანისა, ადმინისტრაცია მისცემს:

ა) გზის ფულს, რაც საჭიროა თვით მომუშავეისა და მისი ოჯახის წევრების სამგზავროდ და აგრეთვე ქონების გადაზიდვის ღირებულებას, 82⁷ მუხლის თანახმად;

ბ) დღიურ სარგოს გზათყოფნის დროს 82⁸ მუხლის თანახმად;

გ) ერთდროულ დახმარებას თვით მომუშავეისა და მისი ოჯახის თვითიველ იმ წევრისათვის, რომელიც სხვა სამყოფელ ადგილას გადავა,—82⁹ მუხლის თანახმად;

დ) სამუშაო ხელფასს, 82¹⁰ მუხლის თანახმად“.

„82². იმ მომუშავეს, რომელიც სხვა სამყოფელ ადგილას გადადის მისი საკუთარი სურვილით გადაყვანის გამო, 82¹ მუხლში აღნიშნული კომპენსაცია შეიძლება მიეცეს მხარეთა შეთანხმებით მთლად ან ნაწილობრივ“.

„82³. იმ მომუშავეს, რომელიც სხვა სამყოფელ ადგილას გადადის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაცია მისცემს:

ა) გზის ფულს, რაც საჭიროა თვით მომუშავეისა და მისი ოჯახის წევრების სამგზავროდ და აგრეთვე ქონების გადაზიდვის ღირებულებას, 82⁷ მუხლის თანახმად;

ბ) დღიურ სარგოს გზაში ყოფნის დროს, 82⁸ მუხლის თანახმად.

ერთდროული დახმარება შეიძლება გაიცეს თვით მომუშავეისა და მისი ოჯახის წევრებისათვის მხარეთა შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 82⁹ მუხლში აღნიშნული რაოდენობისა.

სამუშაო ხელუასი ამ მომუშავეს იმ დროისათვის, ვიდრე იგი მუშაობას შეუდგებოდეს, მიეცემა მხარეთა შეთანხმებით“.

„82⁴. იმ მომუშავეს, რომელიც სხვა სამყოფელ ადგილას გადადის სამუშაოზე წარგზავნასთან დაკავშირებით უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, ადმინისტრაცია მისცემს:

ა) გზის ფულს, რაც საჭიროა თვით მომუშავეისა და მისი ოჯახის წევრების სამგზავროდ და აგრეთვე ქონების გადაზიდვის ღირებულებას, 82⁷ მუხლის თანახმად;

ბ) დღიურ სარგოს გზაში ყოფნის დროს, 82⁸ მუხლის თანახმად;

გ) ერთდროულ დახმარებას თვით მომუშავეისა და ოჯახს წევრებისათვის — იმ რაოდენობის ნახევარს, რაც 82⁹ მუხლშია აღნიშნული.

„82⁵. იმ მომუშავეს, რომელიც გადაიყვანება, მიიღება ან წარიგზავნება ისეთ სამუშაოზე, რაც დაკავშირებულია გადასვლასთან ერთსა და იმავე დასახლებულ პუნქტში, ან არა უმეტეს, ვიდრე 25 კილომეტრის მანძილზე დასახლებული პუნქტის ფარგლიდან, ადმინისტრაცია აუნაზღაურებს მხოლოდ ფაქტიურ ხარჯს, რაც საჭიროა თვით მომუშავეისა და მისი ოჯახის წევრების სამგზავროდ და ქონების გადასაზიდად“.

„82⁶. უკეთუ მომუშავე გადაიყვანება სამუშაოზე ვადით არა უმეტეს ერთი წლისა და ოჯახი მას თან არ გადაჰყავს, მხარეთა შეთანხმებით, ერთდროული დახმარების ნაცვლად, ამ მომუშავეს შეიძლება აენაზღაუროს, მუშაობის მთელი დროის განმავლობაში, ის ვადიდებული ხარჯი, რაც გამოწვეულია დროებით ახალ ადგილას ცხოვრებით. საზღაურის რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს დღიური სარგოს ნახევარ რაოდენობას, 82⁸ მუხლის თანახმად“.

„82⁷. რკინის გზით მგზავრობისათვის გადახდილ უნდა იქნეს მაგარი ვაგონის ბილეთისა და პლაკარტის ღირებულება.

წყალსავალი გზით მგზავრობისათვის გადახდილ უნდა იქნეს მე-II კლასის ბილეთის ღირებულება.

გზატყეცილით და ყამირგზით მგზავრობისათვის გადახდილ უნდა იქნეს უწყებულ ადგილას არსებული ღირებულება.

ქონების გადაზიდვისათვის გადახდილ უნდა იქნეს 240 კილოგრამის ღირებულება თვით მომუშავეზე და 80 კილოგრამის ღირებულება ოჯახის თვითეულ გადასაყვან წევრზე.

უკეთუ რკინისგზით მგზავრობა ერთ დღედაღამეზე მეტ ხანს გრძელდება, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გადახდილ იქნეს რბილი ვაგონის ბილეთის ღირებულება.

უკეთუ ადმინისტრაცია მიმოსვლის საშუალებას მომუშავეს ნატურით აძლევს მთლად ან ნაწილობრივ, ამისდა შესაბამისად იგი გზის ფულსა და ქონების გადაზიდვის ღირებულებას აღარ იხდის“.

„82⁸. დღიური სარგო გაიცემა ახალი სამუშაო ადგილის სათანადებობო ჯამაგირის (სატარიფო განაკვეთის) $\frac{1}{30}$ რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ 2 მან. და 50 კაპ. და არა უმეტეს 10 მან.; ამასთანავე, გასვლის დღე და მისვლის დღე ერთ დღედ ითვლება“.

„82⁹. ერთდროული დახმარება გაიცემა თვით მომუშავეზე მისი ახალი სამუშაო ადგილის თვიური სათანამდებობო ჯამაგირის (სატარიფო განაკვეთის) რაოდენობით, ხოლო ოჯახის თვითეულ გადასასვლელ წევრზე—მომუშავის დახმარების ერთი მეოთხედის რაოდენობით“.

„82¹⁰. სამუშაო ხელფასი გაიცემა გზაში ყოფნის დროისთვის და კიდევ ექვსი დღისათვის სამგზავროდ განაზღვრებისა და ახალ ადგილზე მოწყობისათვის ახალი სამუშაო ადგილის სათანამდებობო ჯამაგირის (სატარიფო განაკვეთის) ანგარიშით“.

„82¹¹. ოჯახის იმ წევრთ, რომელთათვისაც კომპენსაცია გაიცემა, ეკუთვნიან მომუშავის რჩენაზე მყოფნი და მასთან მცხოვრებნი: ქმარი, ცოლი, შვილები და მშობლები“.

82¹². ოჯახის წევრთა საგზაო ფული და მათი ქონების გადაზიდვის ღირებულება, აგრეთვე ერთდროული დახმარება ოჯახის წევრზე გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი გადავლენ მომუშავის ახალ საცხოვრებელ ადგილას ერთი წლის გასვლამდე მომუშავის გადასვლის დღიდან“.

„82¹³. უკეთუ წინასწარვე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა კომპენსაცია ერგება მომუშავეს, მას მიეცემა საჭირო ავანსი.“

მომუშავის ოჯახის წევრებზე ავანსი გაიცემა მათი ფაქტიური გადასვლის დროისათვის“.

„82¹⁴. კომპენსაციის მისაცემად საჭირო ყველა ხარჯს ეწევა ის დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია, სადაც გადაიყვანება, მიიღება ან წარიგზავნება მომუშავე“.

„82¹⁵. მომუშავე მოვალეა დააბრუნოს მთლად გადასვლასთან დაკავშირებით მისთვის მიცემული თანხები შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ იგი არ გამოცხადდა სამუშაო ადგილას ან უარი სთქვა მუშაობის დაწყებაზე არაპატივისაღებ მიზეზით;

ბ) უკეთუ მომუშავე—იმ ვადის გასვლამდე, რაც გათვალისწინებულია კანონით, ან შეპირობებულია სამუშაოზე გადაყვანასთან თუ მიღებასთან, ხოლო ვინიცობაა განსაზღვრული ვადა არ არის დადებული, ერთ წელიწად მუშაობაზე აღრე,—გადადგა თავისი სურვილით ან დათხოვნილ იქნა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის;

უკეთუ მომუშავე არ გამოცხადდა სამუშაოზე ან უარი სთქვა მუშაობის დაწყებაზე პატივისაღებ მიზეზით,—იგი მოვალეა დააბრუნოს მისთვის მიცემული თანხა, უკვე გაწეული საგზაო ხარჯის გამოკლებით“.

„82¹⁶. გადაყვანილი მომუშავის სათანამდებობო ჯამაგირი (სატარიფო განაკვეთი), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მისივე თხოვნით არის გადაყვანილი, ერთი წლის განმავლობაში არ შეიძლება იყოს იმ ჯამაგირზე ნაკლები, რასაც იგი გადაყვანამდე იღებდა“.

„82¹⁷. ოჯახის ის წევრი, რომელიც დაქირავებით მუშაობს და სამუშაოზე გადაყვანილ, მიღებულ და წარგზავნილ მომუშავესთან ერთად ცხოვრობს, განთავისუფლდება, მისი თხოვნით, სამუშაოდან, უკეთუ იგი უნდა გადავიდეს მომუშავის ახალ საცხოვრებელ ადგილას“.

„82¹⁸. ადმინისტრაცია მოვალეა იმ მომუშავეს, რომელიც გადაიყვანება სხვა სამუშაოზე, ყველა შემთხვევაში, გარდა მისივე თხოვნით გადწყვანისა, აგრეთვე იმ მომუშავეს, რომელიც იგზავნება სამუშაოზე უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა განაწილების წესით, მისვლისთანავე მიუჩინოს საცხოვრებელი ფართობი.

ამ მომუშავეთა ოჯახის წევრებს საცხოვრებელი ფართობი მიეჩინებათ მხარეთა შეთანხმებით, უკეთეს სპეციალური კანონით დადგენილი არ არის საცხოვრებელი ფართობის მათთვის სავალდებულოდ მიჩენა“.

„82¹⁹. იმ მომუშავეს, რომელიც გადაიყვანება მისივე თხოვნით ან მიიღება სამუშაოზე, და მისი ოჯახის წევრებს საცხოვრებელი ფართობი მიეჩინებათ მხარეთა შეთანხმებით“.

„82²⁰. უკეთეს სამუშაოზე გადაყვანილი, მიღებული და წარგზავნილი მომუშავეს ოჯახის წევრნი რჩებიან წინანდელ საცხოვრებელ ადგილას, ოჯახს შეენარჩუნება საცხოვრებელი ფართობი; ამასთანავე, ერთი წლის განმავლობაში შეენარჩუნებულ უნდა იქნეს აგრეთვე თვით მომუშავეს საცხოვრებელი ფართობი. ამავე ვადის განმავლობაში საცხოვრებელი ფართობი შეენარჩუნება იმ მომუშავესაც, რომელსაც ოჯახი არა ჰყავს.

უკეთეს მომუშავეს ოჯახის წევრნი გადადიან მომუშავეს ახალ საცხოვრებელ ადგილას, საცხოვრებელი ფართობი ოჯახს შეენარჩუნება სამი თვის განმავლობაში გადასვლის დღიდან.

ამა მუხლით დადგენილი ვადები მომუშავესა და მისი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნებისა არ შეეფარდება ისეთ შემთხვევას, როდესაც სპეციალური კანონით დადგენილია უფრო ხანგრძლივი ვადები.

შენიშვნა. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში სამუშაოზე წარგზავნილთა საცხოვრებელი ფართობი არ შეენარჩუნებათ“.

„82²¹. იმ მომუშავეს და მისი ოჯახის იმ წევრებს, რომელთაც შეენარჩუნებათ საცხოვრებელი ფართობის უფლება, შეუძლიანთ იმ ვადის განმავლობაში, რაც ფართობი მათ განკარგულებაშია, გადასცენ იგი სხვა მშრომელთ; ამასთანავე, ის სადგომი, რაც დაწესებულია, საწარმოს თუ ორგანიზაციის სახელშია, უნდა გადაეცეს უპირატესად ამ დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის მომუშავეთ.

ის პირი, რომელსაც სადგომი გადაეცა, მოვალეა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს იგი იმ ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიაც საცხოვრებელი ფართობი დატოვებულია მომუშავესა და მისი ოჯახის წევრებისათვის და აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, უკეთეს ამ ვადაზე აღრე დაბრუნდა მომუშავე ან მისი ოჯახი.

უკეთეს ეს პირი უარს განაცხადებს სადგომის დაცლაზე, იგი გამოსახლებულ უნდა იქნეს საადმინისტრაციო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუჩენლად. ამავე წესით გამოსახლებულ უნდა იქნეს ის პირი, ვინც საცხოვრებელ ფართობს დაიჭერს ამა მუხლის დარღვევით.

ბინის ქირა და აგრეთვე სასყიდელი კომუნალური მომსახურებისათვის მომუშავეისა და მისი ოჯახის წევრების არყოფნის დროის განმავლობაში უნდა გადაჰხდეს მას, ვისაც საცხოვრებელი ფართობი ფაქტიურად უქირავეს, საერთო წესით დადგენილი განაკვეთის მიხედვით“.

„82²². გადაყვანა არა სწევრებს მუშაობის სტაჟს, რომელზედაც, მომქმედი კანონის თანახმად, დაკავშირებულია მომუშავეის რაიმე უფლება“.

„82²³. 82 მუხლში აღნიშნულ მომუშავეთა შვილები მიიღებენ ახალ საცხოვრებელ ადგილზე პირველ რიგობით საბავშვო ბაგაში, საბავშვო სახლში, საბავშვო ბაქანზე, სასწავლებელში, კურსებზე და სხვა მისთ.. მათ აგრეთვე აქვთ უპირატესი უფლება სტიპენდიის მიღებისათვის“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მანარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. თებერვლის 17.
ტფილისი.

**დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტისა.**

41. „ამიერკავკასიის საიალალო კომიტეტის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„ამიერკავკასიის საიალალო კომიტეტის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. აპრილის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 99) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. ამიერკავკასიის საიალალო კომიტეტს თავისი აპარატი არა ჰყავს და იგი იყენებს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატს.

მიმდინარე მუშაობას ამიერკავკასიის საიალალო კომიტეტში ეწევა ამ კომიტეტის მდივანი, რომლის მოვალეობასაც შეთავსებით ასრულებს

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასაძოვრო-სამინდვრე მეურნეობის პასუხისმგებელი აღმასრულებელი“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. თებერვლის 17.
ტფილისი

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

42. ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის გაშლისათვის წარმოებული სასოფლო
საბჭოების მუშაობის შემოწმებული მასსური ლაშქრობის შესახებ.

„საგაზაფხულო თესვისათვის სასოფლო საბჭოების მომზადების ამოცანათა შესახებ“ მიღებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. თებერვლის 17-ის დადგენილების განსავითარებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. მარტისა და აპრილის თვეების პერიოდში ჩატარებულ იქნეს მასსური ლაშქრობა ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის საუკეთესო გაშლისა და განხორციელებისათვის სასოფლო საბჭოების მიერ წარმოებული მუშაობის შესამოწმებლად.

ეს ლაშქრობა ჩატარებულ იქნეს მე-3 ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვისა, ამხ. სტალინის ექვსი დირექტივის სრული და თანამიმდევრობითი რეალიზაციისა, კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისა და ამ საფუძველზე კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდის ამოცანების საუკეთესო გადაწყვეტის თვალსაზრისით.

2. საგაზაფხულო თესვის ძირითად კონკრეტულ ამოცანებს, იმ მიზნით, რათა სასოფლო საბჭოებმა, კოლექტიურმა მეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და ინდივიდუალურმა ღარიბ და საშუალო მეურნეობებმა რაც შეიძლება უკეთესად და თავის დროზე შეასრულონ თესვის გეგმები, შეადგენს:

ა) საწარმოო და სამუშაო გეგმების საუკეთესოდ დამუშავება კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და ამ გეგმების მიწვდენა ბრიგადებამდე და აღმასრულებლებამდე;

ბ) საკოლმეურნეო ბრიგადების წესიერი ორგანიზაცია, ნარდობის შემოღება და გათანაბრების ლიკვიდაცია;

გ) შრომის სოციალისტური ფორმების—დამკვირვებობისა, სოციალისტური შეჯიბრებისა, საზოგადოებრივი ბუქსირისა და სხვა მისთ.—ფართოდ გაშლა;

დ) სათესლე ფონდების დაგროვების გეგმის მთლად შესრულება;

ე) მასსებში აგროტექნიკის შთანერგვა ამ ლოზუნგით „არც ერთი ტექნიკურად უვიცი მუშა არ უნდა იყოს საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლმეურნე—კოლექტიურ მეურნეობებში;

ვ) საგაზაფხულო თესვისათვის აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება (თესლის გაწმენდა და დაწამლვა, მანერალური და ნეხვის სასუქის გამოყენება, თოვლის გაჩერება, თესლთა ბრუნვის შემოღობვა, მწკრივადი თესვა, სათესლე მასალის შერჩევა და ჯიშთა ცვლა, მავნებლებთან ბრძოლა, ვადაზე თესვა აგროტექნიკის პირობების შესაბამისად და სხვა მისთ.);

ზ) საუკეთესო აგრო-საწარმოო მომსახურეობის უზრუნველყოფა, აგროტექნიკური პერსონალის მუშაობის წესიერად დაყენება, მისი განაწილება, აგროპერსონალისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევა და სხვა მისთ.;

თ) ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის გეგმის შესრულება (სარემონტო სახელოსნოების გაშლა, ამ სახელოსნოებში შრომის წესიერი ორგანიზაცია, სამეურნეო ანგარიშისა და ნარდობის შთანერგვა, გაუპიროვნების ლიკვიდაცია, რემონტის თვისების ამაღლება, შინაგანი რესურსების მობილიზაცია, სათანადარიგო ნაწილებით და სათბობი მასალით უზრუნველყოფა და სხვა მისთ.);

ი) საწვევი ძალით თესვის უზრუნველყოფა (ცხენ-ხართა კოლონები), საკვეებისა, ფურაჟისა და შესაბამელობის დამზადება;

კ) საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადებისათვის ფართო კამპანიის გაშლა;

ლ) ზამთრისპირული ხენისა და ზამთრის არათისათვის მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმება;

მ) საგაზაფხულო თესვისათვის კადრების (ტრაქტორისტებისა, ბრივადირებისა, მემინდვრებისა, შრომის ორგანიზატორებისა, მეაღმნუსხეებისა და სხვა მისთ.) მომზადების გეგმისა და ამ გეგმების ფაქტიური შესრულების შემოწმება.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—გაშალონ ფართო მასსური მუშაობა სასოფლო საბჭოების მუშაობის შემოწმებელი მასსური ლაშქრობის უკეთესად ჩატარებისათვის და მათთვის დახმარების გაწევისათვის საგაზაფხულო თესვის ჩატარების საქმეში, რისთვისაც მიამაგრონ რაიონებზე (სასოფლო საბჭოებზე) დასახმარად პასუხმგებელი მომუშავენი ცენტრიდან, გაშალონ სოფლად სადარგო ბრივადები თესვის უაღრესი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებისათვის და ამ ბრივადებში ფართოდ ჩააბან კოლმეურნენი და ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნენი.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და საკოლმეურნეო

ცენტრებს—ჩაებნენ ლაშქრობაში და უზრუნველყონ აგროტექნიკური პროპაგანდის განხორციელება, რისთვისაც შემოიღონ ყველა კოლექტიური მეურნეობისა, საბჭოთა მეურნეობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პრაქტიკაში „ტექნიკისა და აგროტექნიკის საათი“.

5. ეთხოვოს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ ამიერკავკასიის საშხარეო კომიტეტს—უზრუნველყონ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობა ლაშქრობის ჩატარების საქმეში.

6. გაზეთების რედაქციებმა უნდა უზრუნველყონ ლაშქრობის სისტემატური გაშუქება და პრესის ბრიგადებისა და რეიდების ჩამორჩენილ რაიონებში და სასოფლო საბჭოებში გასვლის ორგანიზაციით გადასცენ მათ მოწინავე რაიონების გამოცდილებანი, თანაც ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ბუქსირის მოწყობას.

7. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ერთად, პრესის დამკვერელთა სრულიად საკავშირო რეიდის ჩატარების საკითხი დაუკავშიროს საგაზაფხულო თესვის ლაშქრობას.

8. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—მიამაგროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებზე ლაშქრობის გაშლის საქმეში დახმარების გასაწევად კომპლექტური ბრიგადა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა, ტრაქტორცენტრისა, ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოს, სრულიად საკავშირო ალკ ა/კ. სამხარეო კომიტეტის პასუხმგებელ წარმომადგენლებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პასუხმგებელი ინსტრუქტორების შედგენილობით.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—ლაშქრობისათვის ხელმძღვანელობის განხორციელებისა და 1932 წ. საგაზაფხულო თესვის დავალებათა უშუალოდ გამტარებელი ორგანოებისათვის კონტროლის გაწევის პროცესში—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დღევანდელი ეტაპის ძირითადი ლოზუნგის შესრულებას: კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება, ამ საფუძველზე მათი შემდგომი ზრდის უზრუნველყოფა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზისზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მაზარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 7.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

43. ა/კსფსრ-ში ცენტრალური კომუნალური ბანკის წარმომადგენლობის შე- სახეობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ცენტრალური კომუნალური ბანკის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში დანი-
შნავს პერსონალურად ცენტრალური კომუნალური ბანკის გამგეობა ა/კსფსრ
სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით.

რწმუნებულთან იმყოფება საბჭო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რეს-
პუბლიკების კომუნალური ბანკების წარმომადგენელთაგან.

2. ცენტრალური კომუნალური ბანკის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მოვა-
ლიობას შეადგენს:

ა) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალური ბან-
კების მიერ წარდგენილი საკრედიტო-საფინანსო გეგმისა და აგრეთვე ცალკეუ-
ლი რესპუბლიკების საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო
მშენებლობის დაფინანსების გეგმების ანალიზი და შეჯუშმლა;

ბ) ა/კსფსრ სათანადო ორგანოებში და ცენტრალურ კომუნალურ ბანკში
ცალკეული ბანკების ჯუშობითი საკრედიტო-საფინანსო გეგმისა და აგრეთვე
ა/კსფსრ-ში მშენებლობის დაფინანსების გეგმების წარდგენა;

გ) ა/კსფსრ სათანადო ორგანოებში მონაწილეობის მიღება ცალკეულ რეს-
პუბლიკებს შორის ა/კსფსრ-ში მშენებლობის დაფინანსებისათვის გამოყოფილი
თანხების განაწილების დროს;

დ) ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფ საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშ-
ვნელობის შენაერთებთან საკლიენტო სიების შეთანხმება (ცენტრალური კომუ-
ნალური ბანკის სახსარით დასაფინანსებელ საწარმოთა სია);

ე) ცალკეული კომუნალური ბანკების იმ ანგარიშგებათა შეჯუშმლა, რაც
ეხება როგორც მათი საკრედიტო-საფინანსო გეგმებისა, ისე მშენებლობის და-
ფინანსების გეგმების აღსრულებას, აგრეთვე იმ ცნობების შეჯუშმლა, რაც ეხება
მშენებლობის ფაქტიურ მდგომარეობას და რასაც ბანკები იღებენ კონტროლის
წყისით;

ვ) ა/კსფსრ სათანადო ორგანოებში ბანკებისაგან მიღებული საანგარიშო
მასალების წარდგენა ჯუშლის სახით;

ზ) ცენტრალური კომუნალური ბანკის სახელით წარმომადგენლობა ა/კსფსრ
ორგანოებში.

შენიშვნა. ზემოდ ჩამოთვლილ საგეგმო ანგარიშგებას რესპუბლიკა-
ნური კომუნალური ბანკები უგზავნიან ერთსა და იმავე დროს ცენტრა-
ლური კომუნალური ბანკის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და იმავე ბანკის გამ-
გეობას.



3. ტექნიკური მუშაობისათვის რწმუნებულს ჰყავს შტატი, რომელსაც განსაზღვრავს ცენტრალური კომუნალური ბანკი არა უმეტეს 4 კაცის შედგენილობისა.

4. ცენტრალური კომუნალური ბანკის რწმუნებული მოქმედობს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივებისა და ცენტრალური კომუნალური ბანკის გამგეობის ინსტრუქციის თანახმად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. თებერვლის 10.

№ 456.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

44. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის საირრიგაციო სისტემების ექსპლოატაციის გადაცემის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაუყოვნებლივ გადაეცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს წვრილი და უწვრილესი საირრიგაციო ქსელის ექსპლოატაცია და გადაკეთება და წყალსარწყავი საქმის ხელმძღვანელობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონის შიგნით.

შენიშვნა. წყლის განაწილებას საბჭოთა მეურნეობებსა, საცდელ და სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს (კოლექტიური მეურნეობანი, სადაბო ამხანაგობანი) შორის აწარმოებს სარაიონო წყალთა მეურნეობის სამმართველო.

2. დაეკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს საექსპლოატაციო ქსელის ყოველწლივ გაწმენდა და რემონტი და მოსახლეობის ორგანიზება ამ მუშაობის განხორციელებისათვის.

შენიშვნა. მაგისტრალებისა, საუბნე და ჯგუფური არხების გაწმენდას აწარმოებს სარაიონო წყალთა მეურნეობის სამმართველო.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს— დაავალონ რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს:

ა) გადასცენ ცენტრალიზებული წესით ა/კ. ტრაქტორცენტრს წყლის გამოსაღების სახსარიდან და ბიუჯეტის სახსარიდან სათანადო ნაწილი გადასა-

ცემი სამუშაოების მოცულობის თანაშემომილობით, რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისა და სარაიონო წყალთა მეურნეობის სამმართველოების ოპერატიული გეგმების თანახმად, ისე, რომ ყველა ხარჯი, რაც საჭიროა შტატის შესანახად და სხვა სამუშაოებისათვის, მილად დაიფაროს ამ სახსარით;

ბ) გამოჰყონ თითო ინჟინერ-ირრიგატორი და გადასცენ ა/კ. ტრაქტორცენტრის სისტემას, არა უგვიანეს თებერვლის 15-სა, ა/კ. ტრაქტორცენტრის რესპუბლიკანურ განყოფილებებში სამუშაოდ;

გ) გადასცენ მოძრავი ქონებისა და შენობების ნაწილი (სადგომები, მიმოსვლის საშუალებანი—საზიდაეები, ცხენები და სხვ.) და აგრეთვე ტექნიკური ინსტრუმენტების სათანადო ნაწილი;

დ) გამოჰყონ სარაიონო წყალთა მეურნეობის სამმართველოების ორგანიზაციიდან თითო ჰიდრო-ტექნიკოსი თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგური-სათვის და აგრეთვე საექსპლუატაციო შტატი (წყლის სასოფლო რწმუნებულნი, წყლის მილიციონერები) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონებში, არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 20-სა, გადასაცემი სამუშაოების მოცულობის შესაბამისად.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრს:

ა) უზრუნველჰყოს არა უგვიანეს თებერვლის 15-სა ადგილებზე წყალთა სისტემების აპარატის ორგანიზაცია;

ბ) მოაწყოს მუშაობა სარწყავი რუკების გადიდებისათვის, ისე, რომ ამ გადაკეთების ჩასატარებლად საჭირო მუშაობის მთელი ხელმძღვანელობა თავმოყროდ იქნეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში (სამუშაო გეგმების შედგენა, კოლექტიური მეურნეობების მუშა-ძალის ორგანიზაცია, სატრაქტორო პარკის გამოყენება, მასსური მუშაობა და სხვ.).

5. წინადადება მიეცეს ა/კფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს — გადასცეს ა/კ. ტრაქტორცენტრის სისტემას 1932 წელს წვრილი ქსელის გადასაკეთებლად გადადებული ასიგნები.

6. წინადადება მიეცეს ა/კ. მებაზობის შენაერთს, ა/კფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს—გადასცენ ტრაქტორცენტრის სისტემას საჭირო საგეგმო მასალა დამუშავებული სახით და ჰაერო-ფოტო-სურათები არა უგვიანეს ა/წ. მარტის 1-სა.

7. წინადადება მიეცეს ყველა წყალსამეურნეო და სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციას გაუწიოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს ყოველგვარი დახმარება ქსელის გადაკეთების გეგმების შედგენის საქმეში (საერთო გეგმებთან დაკავშირება, საირრიგაციო სისტემების გადაკეთება და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის ყველა დამუშავებული პროექტის გადაცემა).

8. მიენდოს კომისიას ამხ. პოტერიახინისა (მოწვევა), ბირიუშევისა და ტოლპინცევის (ა/კ. ტრაქტ. ცენ.) შედგენილობით—გადასწვიტოს 5 დღის ვადაზე ა/კ. საკვლევო სამელიორაციო ინსტიტუტისა და ჰიდროტექნიკუმების კურსდამთავრებულ ინჟინერების ნაწილის გადაცემის საკითხი.

9. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის საირრიგაციო სისტემების ექსპლოატაციის მთელი საქმის გადაცემის შესაძლებლობის გამორკვევის მიზნით გამოყოფილ იქნეს აზერბაიჯანის სსრ-ში ყასუმ იზმაილის რაიონი, როგორც საცდელი რაიონი.

წინადადება მიიცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გადასცეს 1932 წ. მარტის 1-თვის ყასუმ იზმაილის რაიონში სამანქანო-სატრაქტორო სადგურს ექსპლოატაციის მთელი საქმე და უზრუნველჰყოს იგი კვალიფიციური კადრებით და სახსარით.

ექსპლოატაციის საქმეში მიღებული გამოცდილებისა და ცნობების საფუძველზე ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ უნდა წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 1-თვის ანგარიში ა/კსფსრ-ში სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის მათი მოქმედების რაიონებში ექსპლოატაციის მთელი საქმის გადაცემის შესახებ.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ ამა დადგენილების საფუძველზე, არა უგვიანეს 1932 წ. მარტის 1-სა, დებულება რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებსა და ა/კ. ტრაქტორცენტრის რესპუბლიკანურ განყოფილებებს შორის დასამყარებელი ურთიერთობის შესახებ და გააზუსტონ თვითთული ამ ორგანიზაციის გამგებლობის ფარგალი და უფლება-მოვალეობათა მოცულობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. შუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. თებერვლის 10.

№ 457.

ტფილისი.



დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

45. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამგებლობიდან ა/კსფსრ უმაღ-
ლესი ეკონომიური საბჭოს გამგებლობაში სასტანდარტიზაციო კომიტე-
ტის გადაცემის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

„სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის შესახებ“ გამოცე-
მული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 12-ის დადგე-
ნილების შესაბამისად და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერ-
ვლის 8-ის დადგენილების გასაუქმებლად დადგენილ იქნეს, რომ ამიერკავკასიის
სასტანდარტიზაციო კომიტეტი იმყოფება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბ-
ჭოს გამგებლობაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. თებერვლის 13.
№ 458.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

46. 1932 წლისთვის ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

„1932 წლის მოსავლის ბამბის კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემული
შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. თებერვლის 10-ის დადგენილების შე-
საბამისად („იზვესტია“-ს 41 №-ი 1932 წ. თებერვლის 11-სა) ა/კსფსრ სახალხო
კომისართა საბჭო აღგენს:

განსაზღვრულ იქნეს შემდეგი დავალებანი ა/კსფსრ-ში 1932 წელს ბამ-
ბის კონტრაქტაციისათვის:

1) საგლეხო სექტორის ბამბის ნათესი ფართობი (ჰექტარობით):

	სარწყავი	ბოგარული	სულ
აზერბაიჯანის სსრ-ში	208.200	2.800	211.000
სომხეთის სსრ ში	29.000	—	29.000
საქართველოს სსრ-ში	22.500	—	22.500
ა/კსფსრ-ში	259.700	2.800	262.500

აქედან კოლექტიურ მეურნეობებში: აზერბაიჯანის სსრ-ში—154.000 ჰექტარი, სომხეთის სსრ-ში—20.000 ჰექტ., საქართველოს სსრ-ში—15.000 ჰექტ. და ა/კსფსრ-ში—189.000 ჰექტარი.

2) ბამბის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე საშუალოდ (კილოგრამობით):

	სარწყავი	ბოგარული
აზერბაიჯანის სსრ-ში	690	300
სომხეთის სსრ-ში	652	—
საქართველოს სსრ-ში	565	—

3) აღნიშნულ ფართობებზე ნედლი ბამბის პროდუქციის მოკრეფა (ტონობით):

	სარწყავი	ბოგარული	სულ
აზერბაიჯანის სსრ-ში	143.360	840	144.200
სომხეთის სსრ-ში	18.900	—	18.900
საქართველოს სსრ-ში	12.700	—	12.700
ა/კსფსრ-ში	174.960	840	175.800

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, ამიერკავკასიის მეზამბეობის შენაერთთან, ა/კ. ტრაქტორცენტრთან და საკოლმეურნეო ცენტრთან ერთად, უნდა განსაზღვრონ 5 დღის ვადაზე მოსავლიანობა და პროდუქციის მოკრეფის დავალებანი რაიონული და სექტორული ხაზით.

4) კონტრაქტაცია დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს არა უგვიანეს 1932 წ. მარტის 15-სა.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კ. ტრაქტორცენტრს და ა/კ. მეზამბეობის შენაერთს—მათ მიერ მიღებული ტიპური შეთანხმებანი კოლექტიურ მეურნეობებთან და სადაბე საწარმოო ამხანაგობებთან შეუფარდონ 3 დღის ვადაზე ამა დადგენილებას და მისცენ ადგილებს დირექტივები.

5) კონტრაქტაცია ჩატარებულ უნდა იქნეს შემდეგ საფუძვლებზე:

„სოიუზზაგოტხლოპოკ“-ი (მის მოწყობამდე ა/კ. მეზამბეობის შენაერთი) დასდებს გენერალურ ხელშეკრულებას ტრაქტორცენტრთან ამ კოლექტიური მეურნეობების მიერ ბამბის ჩაბარების შესახებ, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ. „სოიუზზაგოტხლოპოკ“-ის ადგილობრივი კონტორები დასდებენ ლოკალურ ხელშეკრულებებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხელშეკრულებებში კოლექტიურ მეურნეობებთან ვაითვალისწინება განსაზღვრული რაოდენობის ბამბა, რაც თვითთულმა კოლექტიურმა მეურნეობამ უნდა ჩააბაროს ცალკეულად.

იმ კოლექტიურ მეურნეობებთან, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწევენ, და ინდივიდუალურ მეურნეობებთან საკონ-

ტრაქტაციო ხელშეკრულებებს დასდებენ „სოიუზზაგოტხლოპოკ“-ის (მის მოწყობამდე ა/კ. მეზამბეობის შენაერთის) ორგანოები უშუალოდ.

6) ბაჰბის კონტრაქტაცია უნდა სწარმოებდეს ისეთ პირობებზე, რომ კოლექტიურ მეურნეობებს და ღარიბ და საშუალო მეურნეობებს მიეცეს:

ა) ნისიად კარგი თვისებისა და გაუმჯობესებული ხარისხის სათესი თეს-
ლეული თვითულ ჰექტარზე შემდეგი ნორმით: ამერიკული ბამბისა—აზერბაი-
ჯანსა და საქართველოში—50 კილოგრამი თესლი, ნახიჩევანის სსრ-სა და სომ-
ხეთის სსრ-ში—55 კილოგრამი და ეგვიპტური—32 კილოგრ. ჰექტარზე;

შენიშვნა. ისეთ რაიონებში, სადაც თესვა სწარმოებს „საფსუვა-
რი“-ს შეფარდებით, გასაცემი თესლის ნორმა გადიდებულ უნდა იქნეს
5 კილოგრამით ჰექტარზე;

ბ) ფულადი ავანსი, დაკონტრაქტებული ნედლეულის რაოდენობის მიხედ-
ვით, ერთ ტონნა ნედლ ბამბაზე 56 მან. საშუალოდ (19 პროცენტი დაკონტრაქ-
ტებული ბამბის ღირებულებისა); ავანსის რაოდენობა დიფერენცირებულ უნდა
იქნეს კოლექტიური მეურნეობისათვის და ინდივიდუალური მეურნეობისათვის
ისეთი ფარადით, რომ კოლექტიური მეურნეობისათვის მისაცემი ავანსი 30
პროცენტით აღემატებოდეს ინდივიდუალური მეურნეობისათვის მისაცემ ავანსს
და აგრეთვე ეგვიპტურ და გადასარგველ ბამბაზე მისაცემ გადიდებულ ავანსს;

შენიშვნა. კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებს ავანსი არ მიეცემათ;
ეს მეურნეობანი სთესავენ ბამბას მტკიცე დავალებათა შესრულების წესით,
რასაც მათ დააკისრებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და სა-
სოფლო საბჭოები.

7) თესლის გასაცემი ფასი განისაზღვროს 4 კაპ. რაოდენობით ერთ კილო-
გრამზე ფრანკო—ნედლი ბამბის ჩაბარების ადგილი. თესლის ღირებულება გა-
საცემი ავანსის თანხაში არ უნდა შედიოდეს და გადახდევინებულ უნდა იქნეს
ნედლი ბამბის ჩაბარების დროს. კულაკურ-შეძლებულ მეურნეობების თესლით
მომარაგება სწარმოებს 6 კაპიკობით კილოგრამზე და ანგარიშის ნაღდი გას-
წორებით.

8) 1932 წელს ბამბის მოთხოვლობა ავანსირებისათვის საჭირო ფულადი
ფონდი განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

აზერბაიჯანის სსრ-თვის	8.075.000 მან.
სომხეთის სსრ-თვის	1.058.000 „
საქართველოს სსრ-თვის	711.000 „
ა/კფსრ-თვის	9.844.000 „

9) ფულადი ავანსი უნდა გაიცეს:

ა) საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების დროს—დაკონტრაქტე-
ბული პროდუქციის ღირებულების 4 პროცენტის რაოდენობით;

ბ) დათესვისა და შემოწმების შემდეგ—9 პროცენტი;

გ) მეორე მარგვლისა და კულტივაციის შემდეგ—6 პროც.

10) რადგანაც საკონტრაქტაციო შეთანხმება უაღრესად მნიშვნელოვანი
აქტია ორმხრივი ვალდებულებებით, ბამბის მოთხოვლობათან დადებულ შეთანხმე-

ბაში შეტანილ უნდა იქნეს მთესველთა (კოლექტიური მეურნეობა, ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობა) შემდეგი ვალდებულებანი:

ა) სათანადოდ და თავის დროზე მიწის მოხვნა და ბამბის დასათესად განმზადება;

ბ) თესვის გულდადებით ჩატარება მთლად დაკონტრაქტებულ ფართობზე— ისე, რომ თესვა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს იმ ვადებისა, რაც დადგენილია ცალკეული რაიონებისათვის რესპუბლიკანური მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ;

გ) პირველი, მეორე და მესამე მარგვისა და კულტივაციის გულდადებით ჩატარება დადგენილ ვადებზე და აგრეთვე ნათესის შეთხელება;

დ) ბამბის აუცილებლად მორწყვა საამისო ვადებისა და ნორმების დაცვით—და ყველგან მთლიან სადღედაღამო რწყვის შემოღება;

ე) დადგენილ ვადაზე ბამბის მოკრეფა ხარისხის მიხედვით—ისე, რომ მთელი ბამბის მოკრეფა და შემსყიდველი პუნქტებისათვის ჩაბარება არა ნაკლებ დაკონტრაქტებული რაოდენობისა დამთავრებულ იქნეს დადგენილ ვადაზე;

ვ) მთესველების მიერ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დასახმარად და ამ სადგურების ხელმძღვანელობით საკუთარი მუშა-ძალისა და საწვევი ძალის სავსებით გამოყენება ხენისა, თესვისა, მარგვისა, კულტივაციისა და ბამბის აღების პერიოდში;

ზ) დადგენილ ვადაზე დაბრუნება ყველა საკონტრაქტაციო თანხისა, რაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს ერგებათ მათ მიერ შესრულებული სატრაქტორო სამუშაოებისათვის;

თ) ვინიცობაა მთესველები არ შეასრულებენ ნაკისრებ ვალდებულებათ ბამბისათვის დაკონტრაქტებული ფართობის დათესვისა და დამუშავების სფეროში—დაბრუნება მათ მიერ მიღებული ყველა ნატურალური და ფულადი ავანსისა და აგრეთვე პირგაუტეხელობის ჯარიმის გადახდა 10 კაპ. რაოდენობით თვითივე კილოგრამ ჩაუბარებელ ბამბაზე საკონტრაქტაციო შეთანხმებით შეპირობებულ რაოდენობიდან, უკეთეს ჩაუბარებლობა მთესველის ბრალით მოხდა.

11) დამყარებულ იქნეს ა/კ. მებამბეობის შენაერთისა და ა/კ. ტრაქტორ-ცენტრის შემდეგი ვალდებულებანი მთესველთა მიმართ:

ა) მთესველთათვის თავის დროზე სათესი თესლის მიცემა დადგენილი ნორმების მიხედვით;

ბ) ბამბის მთესველთა ფართობებზე აგრომომსახურეობის ორგანიზაცია და ჩატარება;

გ) ბამბის მავნებლებთან და სენთან ბრძოლის ორგანიზაცია და წარმოება მათი მასსური მოვლენის დროს და აგრეთვე წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებათა განხორციელება;

დ) სათანადო რაიონებში მთესველთათვის კონტრაქტაციის პერიოდში სასუქთა ნარეგების ნისიად მიცემა იმ ნორმებით და იმ შედგენილობით, რაც დადგენილია ცალკეული რაიონებისათვის ა/კ. მებამბეობის შენაერთის მიერ;

ე) ჩაბარებული ნედლი ბამბისათვის ანგარიშის თავის დროზე გასწორება;

ვ) მთესველთა პურით უზრუნველყოფა დადგენილი ნორმების მიხედვით.

12) დაევალოს ა/კ. ტრაქტორცენტრს—მთელი იმ ძველი დავალიანების დასაფარავად, რაც ირიცხება კოლექტიურ მეურნეობებზე და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებზე სამანქანო-სატრაქტორო სანდგურების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის, დაუჭიროს მთესველებს გასაცემ ავანსებიდან არა უმეტეს 20 პროცენტისა 1932 წელს თვითიული ავანსის მიცემის დროს.

13) პურით მომარაგების ნორმა ერთ ცენტნერ დაკონტრაქტებულ ნედლ ბამბაზე განისაზღვროს საშუალოდ 55 კილოგრამის რაოდენობით.

პური უნდა გაიცეს დაკონტრაქტებული და ფაქტიურად ჩაბარებული ნედლი ბამბის რაოდენობის მიხედვით.

14) მიენდოს ა/კ. მებამბეობის შენაერთს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან, „სოიუზხლბ“-თან, საკოლმეურნეო ცენტრთან და ტრაქტორცენტრის ა/კ. განყოფილებასთან ერთად, განსაზღვროს 5 დღის ვადაზე რაიონებში შესაზიდად საჭირო პურის ფონდი, რისთვისაც მხედველობაში მიიღოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ ა/კსფსრ-თვის განსაზღვრული პურის კონტინგენტი სულ 97.000 ტონნას რაოდენობით (აზერბაიჯანის სსრ-თვის—79.500 ტონნა, სომხეთის სსრ-თვის—10.500 ტონნა და საქართველოს სსრ-თვის—7.000 ტონნა) და, რესპუბლიკების სახალხო კომისარიატა საბჭოებთან შეთანხმებით, წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისარიატა საბჭოს.

15) პური უნდა გაიცეს ძირითადი საწარმოო პროცესებისა და ამ პროცესების შესრულების თვისების კვალობაზე, შემდეგი რაოდენობით დადგენილი ნორმის ფარგლებში:

- ა) ხელშეკრულების დადების დროს—10 პროცენტი;
- ბ) დათესვისა და შემოწმების შემდეგ—12 პროცენტი;
- გ) მიწის პირველი შემოყრის შემდეგ—15 პროცენტი;
სულ ივლისის 1-დღე—37 პროცენტი;
- დ) მიწის მესამე შემოყრის შემდეგ—10 პროცენტი.

დანარჩენი რაოდენობა პურისა უნდა გაიცეს ბამბის ჩაბარების დროს—ისეთი ვარაუდით, რომ პურის საერთო რაოდენობა, რასაც ბამბის ჩამბარებელი იღებს, ზედმიწევნით შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმას.

პურის გაცემისათვის დადგენილი ვადების შესაბამისად განისაზღვროს, რომ პირველ კვარტალში გაცემულ უნდა იქნეს წლიური ფონდის 10 პროცენტი, მეორე კვარტალში—27 პროცენტი, მესამე კვარტალში—10 პროცენტი და მეოთხე კვარტალში—დანარჩენი 53 პროცენტი.

„სოიუზხლბ“-მა უნდა უზრუნველჰქოს პურის ტვირთთა თავის დროზე მიწოდება საბამბე რაიონებისათვის.

16) განისაზღვროს, რომ ბამბის მთესველთ ერთი ტონნა ნედლ ბამბაზე უნდა მიეცეს:

- ა) ბამბის ზეთი—5 კილოგრამის რაოდენობით (სათანადო ექვევალენტის საპონზე შეცვლით);
- ბ) ბამბის წიწონი—5 კილოგრამის რაოდენობით.



17) საჭირო სამრეწველო საქონლის ფონდი განისაზღვროს 27.091.000 მან. თანხით მრეწველობის ფასების კვალობაზე; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-თვის— 22.222.000 მან., სომხეთის სსრ-თვის—2.913.000 მან. და საქართველოს სსრ-თვის—1.956.000 მან.. ბამბის მთესველთა სამრეწველო საქონლით მომარაგება უნდა სწარმოებდეს საერთო წესისამებრ, სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით.

სამრეწველო საქონელთა შორის შეზიდულ იქნეს:

	ჩაი (კილოგრ.)	შაქარი (ტონნობით)
აზერბაიჯანის სსრ-ში	82.025	2.884
სომხეთის სსრ-ში	10.751	378
საქართველოს სსრ-ში	7.224	254
ა/კსფსრ-ში	100.000	3.516

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს ორი დეკადის ვადაზე იმ მაღაზიების რაოდენობა, რაც საჭიროა გახსნილ იქნეს ა/კსფსრ საბამზე რაიონებში შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ განსაზღვრული 750 მაღაზიიდან; მაღაზიების გახსნის წერტების თაობაზე შეეთანხმოს ა/კ. მეზამბეობის შენაერთს.

18) მიენდოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, ა/კ. მეზამბეობის შენაერთთან, ა/კ. ტრაქტორცენტრთან და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრთან შეთანხმებით, განსაზღვრონ ერთი დეკადის ვადაზე სამრეწველო საქონელთა საჭირო ასსორტიმენტი (ჩაისა და შაქრის გარდა).

განისაზღვროს რაიონებში შესაზიდი სამრეწველო საქონლის შეტანის შემდეგი ვადები და რაოდენობა: პირველ კვარტალში—25 პროც., მეორე კვარტალში—1⁵ პროც., მესამე და მეოთხე კვარტალებში—60 პროც..

19) დაევალოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას—უზრუნველყოს საბამზე რაიონებისათვის გამოყოფილი სამრეწველო საქონლის თავის დროზე მიწვდენა ბამბის მთესველებამდე.

სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებმა უნდა დაამყარონ მეთვალყურეობა და კონტროლი ბამბის მთესველებამდე სამრეწველო საქონლის წესიერად მიწვდენისათვის; ამასთანავე, ყველა ის შემთხვევა, როდესაც დარღვეულ იქნება საბამზე რაიონებისათვის გამოყოფილი სამრეწველო საქონლის გამოყენების წესი, უნდა აცნობონ მუშათა და გლეხთა ისპექციას და პროკურატურას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

20) ეგვიპტური ბამბის მოყვანის სტიმულირებისათვის პურით მომარაგების ნორმა იმ ბამბის მთესველთათვის, ვისაც ეგვიპტური ბამბის ნათესი აქვს, დაწესებულ იქნეს ცენტნერზე ცენტრის რაოდენობით.

21) ა/კ. მეზამბეობის შენაერთმა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრთან და ა/კ. ტრაქტორცენტრთან ერთად, უნდა განსაზღვროს და გამოჰყოს ფონდები კო-

ლექტიურ მეურნეობათა დასაპრემირებლად საუკეთესო თვისებითი და რაოდენობითი მაჩვენებლებისათვის ეგვიპტური ბამბისა და მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებში სათესლე მასალის მოყვანის ზაზით; აგრეთვე უნდა შეიმუშაოს დაპრემირების ნორმები და წესი და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

22) დაევალოს ა/კ. მებამბეობის შენაერთს და სასოფლო და სატყეო მეურნეობის მაგნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორას დასდევან ორი დეკადის განმავლობაში ხელშეკრულება ბამბის მაგნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ და იხმარონ ღონისძიებანი რაიონების თავის დროზე პრეპარატებით და შხამებით უზრუნველსაყოფად. მაგნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო შხამები უნდა მიეცეს აგრეთვე მთესველთ უფასოდ სათანადო რაოდენობით.

23) იმ მუყაით კონტრაქტანტებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და ღარიბი და საშუალო მეურნეობების წასახალისებლად, რომელნიც ბამბის დათესვისა, ნათესი ფართობის დამუშავებისა, დაკონტრაქტებული ბამბის აღებისა და ჩატარების ვალდებულებას თავის დროზე და სავსებით ასრულებენ, დაწესებულ იქნეს სპეციალური ფონდი, რისთვისაც ტრაქტორცენტრის განკარგულებაში ბამბის მთესველებისათვის შემოსახიდ საერთო კონტინგენტიდან გამოყოფილ უნდა იქნეს სამრეწველო საქონელი 1.500.000 მანეთისა. ამ ფონდის განაწილება და გამოყენების წესი ა/კ. მებამბეობის შენაერთმა უნდა შეუთანხმოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს.

24) დაევალოს ყველა რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანიზაციას— ჩატაროს საკონტრაქტაციო კამპანია იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროა მობილიზებულ იქნეს კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეთა ფართო მასლების მთელი ძალა და ყურადღება აღნიშნული კამპანიის საკითხების გარშემო და უზრუნველჰყოს მათი საერთო მონაწილეობა ამ კამპანიის ჩატარების საქმეში. ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობა საკონტრაქტაციო შეთანხმების მნიშვნელობის გამორკვევისათვის, როგორც ორმხრივ ვალდებულებათა შემცველი აქტისა. ამასთან ერთად დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო საბჭოებს და საკოლმეურნეო კავშირებს— გაუწიონ ხელმძღვანელობა ამ კამპანიის ჩატარებას; თანაც აქტიურად ხელი შეუწყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და იქონიონ ურყევი მეთვალყურეობა და კონტროლი, რათა ბამბის მთესველმა კოლექტიურმა მეურნეობებმა და ინდივიდუალურმა ღარიბმა და საშუალო მეურნეობებმა პირნათლად შეასრულონ მათ მიერ ნაკისრები ვალდებულებანი.

25) საკონტრაქტაციო კამპანიისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს ა/კ. ტრაქტოროცენტრს და „სოიუზზაგოტხოლოპკ“-ს (მის მოწყობამდე— ა/კ. მებამბეობის შენაერთს), რომელთაც დაევალოს სისტემატიურად შეამოწმონ ხოლმე ხელშეკრულებების შეცხრულება ბამბის დათესვისა, დამუშავებისა და აღების კამპანიის ყველა ძირითადი ღონისძიების სფეროში.

ამავე დროს დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პროკურატურის ორგანოებს—დაამყარონ სასტიკი კონტროლი და მეთვალყურეობა კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა მიმართ ბამბის დათესვისა, დამუშავებისა და ჩაბარების სფეროში მათთვის მიცემული შტკიცე დავალებების შესრულების მიზნით.

დაეკისროს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საერთო მეთვალყურეობა საკონტრაქტაციო კამპანიის ჩატარებისათვის; თანაც დაევალოს ტრაქტორცენტრის ა/კ. განყოფილებას და ა/კ. მეზამბეობის შენაერთს—თავის დროზე და რიგზე წარუდგინონ ხოლმე ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ოპერატიული ჯუმლები დადგენილი ფორმების მიხედვით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. სალარიძე.

1932 წ. თებერვლის 21.

№ 455.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ ს 44 №-ში 1932 წ. თებერვლის 22-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

47. ამიერკავკასიის მეზამბეობის შენაერთსა და ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრს (სახელშეკრულებო სექტორის ხაზით) შორის 1932 წლის საბამზე სამუშაოების განაწილების შესახებ.

საბამზე ორგანიზაციებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებისა და ამიერკავკასიის მეზამბეობის შენაერთსა და ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრს შორის 1932 წლის საბამზე სამუშაოების განაწილების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრის სისტემას:

ჩატაროს საბამზე რაიონების კოლექტიურ მეურნეობებში 1932 წელს ბამბის თესვის საწარმოო პროგრამის განსახორციელებლად ყველა საორგანიზაციო-სატეხნიკო ღონისძიება, როგორც არის:

ა) ბამბის დათესვისა და აღების გეგმების კოლექტიურ მეურნეობამდე მიწვდენა;



ბ) მოხვნისა, თესვისა, მორწყვისა, წვრილი და უწვრილესი სარწყავი ქსელის გადაკეთების და გაწმენდის ორგანიზაცია და საბამზე ფართობების დამუშავება კოლექტიურ მეურნეობებში ბამბის განვითარების ყველა ფაზის მიხედვით;

გ) ყველა აგროლონისძიების ორგანიზაცია და ჩატარება ბამბის მოსავლიანობის გადიდებისათვის;

დ) კოლექტიური მეურნეობების მიერ ბამბის აღებისა და, სამანქაიო-სატრაქტორო სადგურების მეშვეობით, საბამზე ტრესტის შემსყიდველი პუნქტებისათვის ჩაბარების ორგანიზაცია;

ე) ა/კ. მებამბეობის შენაერთთან ერთად კოლექტიური მეურნეობების ავანსებით, პურიით, თესლით, ტარათი და სამრეწველო საქონლით მომარაგებისა და პროდუქტების ნატურით მიცემის ოპერატიული გეგმების შედგენა, კოლექტიურ მეურნეობებს შორის ფულად სახსართა და ნატურალურ საშუალებათა განაწილების ორგანიზაცია და კოლექტიურ მეურნეობებთან შემდგომად ანგარიშის გასწორება ჩაბარებული ნედლი ბამბისათვის.

შენიშვნა. აზერბაიჯანის სსრ ბოგარულ რაიონებში, რომლებიც მოცული არ არის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებით, აგრეთვე ინდივიდუალურ მეურნეობათა მიმართ აღნიშნული ფუნქციების განხორციელება დაეკისროს საბამზე ტრესტს,

2. დაეკისროს აშიერკავკასიის მებამბეობის შენაერთს:

ა) შემსყიდველი პუნქტების მშენებლობის დაგეგმვა, მათი მშენებლობა და მოვლა-პატრონობა, ამ პუნქტებში ნედლეულისა, თესლისა, პურის პროდუქტებისა და სხვა მასალის შენახვა;

ბ) შემსყიდველი პუნქტების ყველა საქირო მასალით მომარაგება და მათი მეშვეობით ბამბის მოხვევლათვის ხორბლისა, თესლისა, ტარას და სხვა მისთ. მიცემა, ა/კ. ტრაქტორცენტრის მიერ, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განწესების მიხედვით, დადგენილ ვადებზე;

გ) ა/კ. ტრაქტორცენტრის სისტემისაგან 1932 წლის ნედლი ბამბის მოსავლის გაუპიროვნებელი სახით მიღება საბამზე ტრესტის შემსყიდველ პუნქტებში;

დ) შემსყიდველი პუნქტებიდან ნედლი ბამბის ქარხნებამდე მიზიდვის ორგანიზაცია შემდგომი გადაშუშავებისათვის;

ე) ა/კსფსრ მებამბეობის საპერსპექტივო გეგმების შედგენა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 3.

№ 459.

ტფლისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 55 №-ში 1932 წ. მარტის 6-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

48. დამმზადებელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ.

„დამმზადებელი აპარატის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის დადგენილების შესაბამისად („იზვესტია“-ს 44 №-ი 1932 წ. თებერვლის 14-სა)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამმზადებათა საკავშირო კომიტეტის რწმუნებული.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამმზადებათა საკავშირო კომიტეტის რწმუნებული აწარმოებს თავის მუშაობას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თავისი რწმუნებულების მეშვეობით, რომელნიც ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან იმყოფებიან.

2. პურ-ფურაჟის კულტურებისა, საზეთეულო თესლისა და ბამბის დამმზადების ყველა ოპერაციას რწმუნებული ანხორციელებს ა/კსფსრ-ში მისი უშუალო ქვემდებარე მარცვლეულის დამმზადებელი („ზაგოტხერნო“-ს) და ბამბის დამმზადებელი („ზაგოტხლოპოკ“-ის) ორგანოების მეშვეობით.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული პროდუქტების გარდა, სხვა პროდუქტების დამმზადებისათვის საერთო ხელმძღვანელობას რწმუნებული ანხორციელებს სათანადო სახალხო კომისარიატებისა და აგრეთვე სამომხმარებლო სისტემის მეშვეობით.

განისაზღვროს, რომ თავის სადამმზადებლო მუშაობაში ა/კსფსრ ყველა სახალხო კომისარიატი ექვემდებარება დამმზადებათა კომიტეტის რწმუნებულს.

4. დამმზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან მოწყობილ იქნეს საერთო-საკავშირო ორგანიზაციის „ზაგოტხერნო“-ს ამიერკავკასიის კონტორა მარცვლეული, ცერცოვანი, ბურღულოვანი და ზეთეული კულტურებისა და აგრეთვე მარცვლეული და მოცულობითი ფურაჟის დამმზადებათა დაგეგმვისა და ოპერატიული რეგულირების ფუნქციებით. იგივე კონტორა არეგულირებს აგრეთვე მარცვლეული პროდუქტების შემოზიდვისა და ამ პროდუქტებით მომარაგების საქმეს.

თავმოყრილ იქნეს „ზაგოტხერნო“-ში მიღებული და სადგურებზე და ნავთ-სადგურებზე მდებარე დამმზადებელი პუნქტების ყველა ელევატორი და სასაწყობო სათავსი და საპორტო საწყობი, წისქვილებთან მდებარე სპეციალური საწყობებისა და ელევატორების გამოკლებით.

დაევალოს „ზაგოტხერნო“-ს წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაზე სათანადო რესპუბლიკანურ ორგანოებთან შეთანხმებული „ზაგოტხერნო“-სათვის გადასაცემი იმ წისქვილების (სასაწყობო სათავსებით) სია, რომლებიც სამინდრე გამოსაღებს ახდევინებენ და რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციების გამგებლობაშია.

„ზაგოტხერნო“-ს ამიერკავკასიის კონტორა და რესპუბლიკანური კონტორები მოეწყობიან „სოიუზხლები“-სა, „ხლებჟიესოიუზი“-სა, „სოიუზპრომკორმ“-ისა და „სოიუზკრუპი“-ს სათანადო დამზადებელი აპარატების გაერთიანების საფუძველზე.

5. მიენდოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს—შემოიტანოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში ერთი დეკადის ვადაზე წინადადება ა/კსფსრ ბაზის დამზადებელი აპარატის რეორგანიზაციის შესახებ.

6. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემაში:

ა) საფუძველი მრეწველობის ამიერკავკასიის ტრესტი (საკავშირო მნიშვნელობისა), რომელიც შევა „სოიუზმუჟა“-ს შედგენილობაში, პროდუქციის გადამუშავებისა და რეალიზაციის ფუნქციებით; ამ ტრესტის სამმართველო იმყოფებოდეს ქ. ბაქოში;

მოეწყოს საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში ტრესტის რწმუნებულთა ინსტიტუტი; გადაეცეს ტრესტს „სოიუზხლებ“-ის ყველა სამრეწველო საწარმო, რაც ა/კსფსრ-შია, წისკვილებთან მდებარე ელევატორებით და საწყობებით და აგრეთვე „სოიუზხლებ“-ის ის საწყობები, რაშიაც უპირატესად ფქვილია;

ბ) „სოიუზკრუპი“-ს ამიერკავკასიის სამხარეო კონტორა საბურღულე კულტურების გადამუშავებისა, შემოზიდვისა და რეალიზაციისათვის; ეს კონტორა იმყოფებოდეს ქ. ბაქოში;

საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში მოეწყოს კონტორის რწმუნებულთა ინსტიტუტი რეალიზაციის ფუნქციებით;

გ) ოთხფეხი საქონლის დამზადების სრულიად საკავშირო სახელმწიფო შენაერთის „ზაგოტსკოტ“-ის ამიერკავკასიის კონტორა დავგენისა და ოპერატიული რეგულირების ფუნქციებით, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—კონტორები ოპერატიული ფუნქციებით;

„ზაგოტსკოტ“-ი მოეწყობა „სოიუზმიასო“-ს, „ხლებჟიესოიუზი“-ისა და სამონხმარებლო კოოპერაციის ოთხფეხი საქონლის დამზადებელი აპარატების შეერთების საფუძველზე; მას უნდა გადაეცეს ამ ორგანიზაციების საბაზისო მეურნეობანი, სასაკლაოებთან და კომბინატებთან არსებული ბაზისების გამოკლებით;

დ) მიენდოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან შეთანხმებით, შემოიტანოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში ერთი დეკადის ვადაზე წინადადება ხორცეული მრეწველობის სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზმიასო“-ს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური ორგანიზაციების სტრუქტურის შესახებ, რისთვისაც მხედველობაში მიიღოს, რომ ოთხფეხი საქონლის დამზადების ფუნქციები გადაეცა „ზაგოტსკოტ“-ს, ხოლო ხორცეული პროდუქტების გადამუშავებისა და მომარაგების ფუნქციები უნდა გადაეცეს რესპუბლიკანურ საწარმოთ, რომელნიც მოქმედობენ ამიერკავკასიის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით;

ე) „სოიუზტაბაკ“-ის ამიერკავკასიის კონტორა რეორგანიზებულ იქნეს „სოიუზტაბაკ“-ის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოდ;

„სოიუზტაბაკ“-ის სისტემაში მოწყობილ იქნეს „თამბაქოსეულ-ნედლეუ-ული“-ს ამიერკავკასიის კონტორა თამბაქოს ნედლეულობის დამზადებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად;

აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებში და აგრეთვე აფხაზეთის ავტ. სსრ-ში მოეწყოს „თამბაქოსეულ-ნედლეული“-ს კანტორის განყოფილებანი ამიერკავკასიის კონტორისათვის დაქვემდებარებით;

ვ) „სოიუზპლოდოვოვოშჩ“-ის ამიერკავკასიის კონტორა ხილეულისა და ბოსტნეულის დამზადებისათვის; ეს კონტორა მოეწყობა ა/კ. სახილეულო-საბოსტნეულო კავშირისა და „ა/კ. ბალ-ბოსტან კავშირი“-ს სახილეულო-საბოსტნეულო აპარატის ბაზისზე, დაგეგმვისა და ოპერატიული ხელმძღვანელობის ფუნქციებით;

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—„სოიუზპლოდოვოვოშჩ“-ის კონტორები ოპერატიული ფუნქციებით (დამზადება, გადამუშავება, გასაღება, ცალობითი ვაჭრობა); თავმოყრილ იქნეს ამ კონტორებში ა/კ. სახილეულო-საბოსტნეულო კავშირისა და „ბალ-აოსტან-კავშირის“ ყველა გადამუშავებელი საწარმო (კაკლის საწმენდ ქარხნები, მჭრავის ფაბრიკები, ხილის სახმობები და სხვ.);

ზ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—მეღვინეობის მრეწველობის დამოუკიდებელი სადარგო შენაერთები (რესპუბლიკანური მნიშვნელობისა)—სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის სისტემის ყოფილი „აზვინკომბინატ“-ისა, „არმვინკომბინატ“-ისა და „საქღვინკომბინატ“-ის ღვინის კომბინატების ბაზისზე, პროდუქციის დამზადებისა, გადამუშავებისა და რეალიზაციის ფუნქციებით;

თ) საკავშირო სადარგო შენაერთის „სოიუზმასლოპრომ“-ის ამიერკავკასიის კონტორა „ა/კ. პურმეცხოველეობის კავშირის“ აპარატის სათანადო ნაწილის ბაზისზე—დმგეგმვისა და ხელმძღვანელობის ფუნქციებით;

ყველისა და კარაქის კეთებისა და რძის გადამუშავებელი მრეწველობის შენაერთები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—ოპერატიული ფუნქციებით („აზმასლოპრომ“-ი, „საქკარაქმრეწვი“ და „არმმასლოპრომ“);

ი) „სოიუზპტიცეპროდუქტ“-ის ამიერკავკასიის კონტორა—ოპერატიული ფუნქციებით;

მოეწყოს აზერბაიჯანის სსრ-ში, საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში ამიერკავკასიის კონტორის რწმუნებულთა ინსტიტუტი.

7. მომარაგების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო დამზადებელ ორგანოებთან ერთად ხილეულ-ბოსტნეულისა, რძისა, კარაქისა, ფრინველის პროდუქტებისა და წვრილი მეცხოველეობის პროდუქტების (შინაური კურდღელი, ნანადირევი და სხვ.) დამზადება დაეკისროს აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას და ამ სისტემის გამგებლობაში დატოვებულ იქნეს მისი კუთვნილი კარაქის ქარხნები და გადაეცეს მას, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების გადაწყვეტილებისამებრ, ფრინველის პროდუქტებისა და კვერცხის საწ-

ყოველთადად სათანადო ნაწილი ფრინველის პროდუქტების დამზადების არაძირითად რაიონებში.

8. დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა და ა/კფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა სასწრაფოდ უნდა დაიმუშაონ და განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს ხილეულ-ბოსტნეულისა, რძისა და წვრილი მეცხოველეობის პროდუქტების დეცენტრალიზებულ დამზადებათა ფართოდ გაშლას მუშათა დახურული კოოპერატივებისა, სამომხმარებლო კოოპერაციის სატრანსპორტო და სხვა სექციების და სახალხო კვების სასაბუღალტო შენაერთების ხაზით, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის ხაზით.

9. ჩაატარონ დამზადებანი—დაგეგმვისა და ოპერატიული ხელმძღვანელობის ფუნქციებით:

ა) მატყლისა—„სოიუზგოტშერსტ“-ის ა/კ. კონტორამ;

ბ) ტყავ-ნედლეულისა—„სოიუზკოჟ“-ის ა/კ. კონტორამ;

გ) ახალი ხრალეული კულტურებისა—ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ა/კ. კონტორამ. რესპუბლიკებში დამზადებანი ჩატარებულ იქნეს აღნიშნული დამზადებელი ორგანიზაციების სათანადო განყოფილებების ან კონტორების მეშვეობით. ამასთანავე, დამზადებანი ჩატარებულ იქნეს როგორც საკუთარი ქსელის, ისე სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა ქსელის მეშვეობით.

10. ბეწვეულისა, სამკურნალო ტენიკური ნედლეულისა და სასაქონლო ნედლეულის საექსპორტო ნარჩობის (ჯაგარი, ცხენის ძუა-ფაფარი და ბალანი, ბუმბული, ფრთა, რქა, ჩლიქი და სხვა მისთ.) დამზადება დაეკისროს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კფსრ-ში) და მომარაგების სახალხო კომისარიატების სათანადო დამზადებელ ორგანოებს და კოოპერატიულ დამზადებელ ორგანოებს.

11. მიენდოს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განსაზღვრონ ერთი დეკადის ვადაზე სათანადო სახელმწიფო დამზადებელი ორგანოების სარაიონო და სარაიონთაშორისო დამზადებელი კონტორების პუნქტები.

12. მიენდოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს—განსაზღვროს ერთი დეკადის ვადაზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დამზადებელი აპარატისა და კადრების სათანადო ორგანოებისათვის გადაცემის წესი და რეორგანიზაცია დაამთავროს 1932 წ. მარტის 15-თვის.

13. ა/კფსრ-ის ბალ-ბოსტნისა და პურ-მეცხოველეობის კოოპერაციის სისტემების და მათი სადარგო შენაერთების რეორგანიზაციის დროს სათანადო სახელმწიფო დამზადებელი ორგანოები მიიღებენ რეალურ აქტივებსა და პასივებს, რაც აქტივების აგებულებას ესაბამება; აქტივები და პასივები უნდა ენებოდეს მხოლოდ ამ სახელმწიფო დამზადებელი ორგანოების ოპერაციებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის ბალანსის იმ ნაწილებს ლიკვიდაციისათვის, რასაც დამზადებელი ორგანოები არ მიიღებენ, „პურ-მეცხოველეობის კავშირისა“ და „ბალბოსტანკავშირის“ სისტემის ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანურ და სარაიონო რგოლებულში მოეწყოს სალიკვიდაციო კომისიები.

„ა/კ. პურ-მეცხოველეობის კავშირის“ სალიკვიდაციოდ მოეწყოს სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი პალატ-ზადე (თავმჯდომარე), ამხ. ჯავახია (ა/კ. მომარ. სახ. კ-დან) და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი.

„ა/კ. ბალბოსტანკავშირის“ სალიკვიდაციოდ მოეწყოს სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი მელქუმიანი (თავმჯდომარე), ვანციანი (ა/კ. მომარ. სახ. კ-დან) და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი.

სალიკვიდაციო კომისიების მუშაობა დამთავრებულ იქნეს 1932 წ. მაისის 1-თვის.

14. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოაწყონ სალიკვიდაციო კომისიები „პურ-მეცხოველეობისა“ და „ბალბოსტანის“ სას.-სამ. კოოპერაციის რესპუბლიკანური და სარაიონო რგოლეულების ლიკვიდაციისათვის.

15. გაუქმებულ იქნეს 27 მუხლი ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილებისა „ა/კფსრ-ის და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამეურნეო-კოოპერატიულ და კულტურულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ოპერატიული ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ (ა/კფსრ კან. კრ. 1931 წ. 23 №-ი, მუხ. 251).

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. მარტის 7.
№ 460.
ტფილისი.

დადგენილება ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსნი.

49. ა/კფსრ-ში 1932 წლის გაზაფხულზე მოხალონდელ წყალდიდობასთან და ღვართქაფებთან ბრძოლისათვის ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის შესახებ.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წყალდიდობისა და გაზაფხულის წყალმატების შედეგების წინასწარ თავიდან აცილება და მათთან ბრძოლის ჩატარება დაეკისროს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის ორგანოებს.

2. ა/კფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით 1932 წ. თებერვლის 20-ს მოწყობილ საგანგებო კომისიას („ზარია ვოსტოკა“-ს 45 №-ი 1932 წ.



თებერვლის 23-სა) დაეკისროს წყალდიდობასთან ბრძოლის თავის დროზე მომზადებისა და ამ ბრძოლის ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, კერძოდ—იმ ღონისძიებათა განხორციელება, რაც უზრუნველყოფს წყლის ნაპირების გამმავრებელ ნაგებობათა და სტიქიურ განადგურებისაგან ამ ნაგებობათა დაცვის სამუშაოების თავის დროზე და ფაქტიურად შესრულებას.

3. აღნიშნული ამოცანის შესრულებისათვის საგანგებო კომისიას უფლება მიეცეს:

ა) გამოსცეს ხოლმე დადგენილებანი და განკარგულებანი, რაც ეხება წყლის ნაპირების სამუშაოებს და ნაპირების გამმავრებელ ნაგებობათა დაცვას;

ბ) მოსთხოვოს ხოლმე ა/კსფსრ ყველა ორგანოს და აგრეთვე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ შეასრულონ საგანგებო კომისიის მიერ გაცემული განკარგულებანი და წარუდგინონ მას ცნობები წყალდიდობასთან ბრძოლის მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ;

მოსთხოვოს ხოლმე ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას—დაუყოვნებლივ აიცილოს შენიშნული ნაკლოვანებანი წყალდიდობასთან ბრძოლის მომზადებისა და ჩატარების საქმეში;

გ) მისცეს ხოლმე პასუხისგებაში ყველა თანამდებობის პირი, ვინც თავის დროზე ან კეთილსინდისიერად არ შეასრულებს საგანგებო კომისიის განკარგულებას, ან ვინც გამოიჩინოს უთაურობას თუ ჩაიდენს ისეთ მოქმედებას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს წყალდიდობასთან ბრძოლის წარმატებით მომზადებასა და ჩატარებაზე;

დ) გამოაცხადოს ხოლმე სავალდებულო შრომისა და ჭაბანზიდვის ბეგარა იმ ადგილებში, სადაც წყლისაგან ნაპირების გარღვევის გამო საჭირო იქნება მოსახლეობის გაწვივა წყლის ნაპირების გამმავრებელი სასწრაფო სამუშაოებისათვის;

ე) გააუქმოს ხოლმე მე-4 მუხლში აღნიშნული საგანგებო ორგანოების დადგენილებანი და განკარგულებანი.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოაწყონ ამა დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოებთან და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საგანგებო კომისიები, ხოლო იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და სასოფლო საბჭოებთან, რომელთა ტერიტორიაზედაც მოსალოდნელია წყალდიდობა, მოეწყოს საგანგებო სამუშაოები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. მუსახეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 8.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 57 №-ში 1932 წ. მარტის 9-ს.